პროექტი

# ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ ______

ქალაქი ქუთაისი ______ ივლისი 2026 წელი

**„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 25 მარტის №59 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად:

**მუხლი 1.** შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 25 მარტის №59 განკარგულებაში, კერძოდ:

ამოღებულ იქნეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმიდან №3; №26; №88; №92; №104; №130; №134; №135 პუნქტები.

ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმას დაემატოს №151-№152 პუნქტები თანდართული რედაქციით.

(დანართი განკარგულებას თან ერთვის)

**მუხლი 2.** კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

**მუხლი 3.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 4.** განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
მოვალეობის შემსრულებელი ________ დავით ნიშნიანიძე

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2026 წლის --- ივლისის
№ განკარგულების დანართი

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმა**

| № | ქონების დასახელება | მისამართი | ფართობი (კვ.მ.) | საკადასტრო კოდი | საწყისი საპრივატი-ზებო საფა-სური (ლარი) | აუქციონით განკარგვის ფორმა (პირობით ან უპირობოდ) | სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდი ან/და პერიოდულობა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 |
| 151 | არასაცხოვრებელი ფართი (სარდაფი) | ქალაქი ქუთაისი, ფალიაშვილის ქუჩა №17 | 88,47 | 03.03.21.112.01.513 | 93 400.00 | უპირობო | ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში |
| 152 | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | ქალაქი ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზირი, I შესახვევი, №2ა | 662,85 | 03.06.03.366 | 145.00 (1კვ.მ-ზე) | უპირობო | ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში |

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
მოვალეობის შემსრულებელი დავით ნიშნიანიძე

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2026 წლის --- ივლისის
№ განკარგულების დანართი

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმა**

| № | ქონების დასახელება | მისამართი | ფართობი (კვ.მ.) | საკადასტრო კოდი | საწყისი საპრივატი-ზებო საფა-სური (ლარი) | აუქციონით განკარგვის ფორმა (პირობით ან უპირობოდ) | სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდი ან/და პერიოდულობა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 |
| 151 | არასაცხოვრებელი ფართი (სარდაფი) | ქალაქი ქუთაისი, ფალიაშვილის ქუჩა №17 | 88,47 | 03.03.21.112.01.513 | 93 400.00 | უპირობო | ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში |
| 152 | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | ქალაქი ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზირი, I შესახვევი, №2ა | 662,85 | 03.06.03.366 | 145.00 (1კვ.მ-ზე) | უპირობო | ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში |

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის

მოვალეობის შემსრულებელი დავით ნიშნიანიძე